შ.პ.ს. "ვაკო" ს/კ 211329249

დირექტორი: ი.ჭვერაიძე

23.10.2014

კონსტრუქციული დასკვნა

ქ.თბილისში. ონიაშვილის ქ. №25, №27 (ს/კ 01.10.12.038.031) მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. №25 და №27 (ს/კ 01.10.12.038.031)უნდა განხორციელდეს არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (№1389645) და მათ ადგილას შ.პ.ს. "ვაკო"-ს (211329249) მიერ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ახალი შვიდ სართულიანი ნაგებობის მშენებლობა.

კონსტრუქციული დასკვნა: საპროექტო შენობის განთავსებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების შედეგად მომიჯნავედ არსებული შენობების მდგრადობასა და დაცვასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ მისამართზე წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს შვიდ სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ავტოსადგომის მიწისქვეშა სართულით, რომელიც ესაზღვრება ერთი მხრიდან ერთსართულიან შენობას რომელსაც აქვს სარდაფი და რომელშიც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი (ს/კ 01.10.12.038.021), ნაგებობას გააჩნია ლენტური საძირკველი 80სმ. სისქით 3.70მ. სიღრმეზე. საპროექტო შენობის მეორე მხრიდან განთავსებულია ორ სართულიანი შენობა – საცხოვრებელი სახლის ფუნქციით, რომელსაც ასევე გააჩნია სარდაფი (ს/კ 01.10.12.038.009), ნაგებობას აქვს ლენტური საძირკველი სისქით 80სმ. და საპროექტო შენობის აბსოლიტური ნულოვანი ნიშნულიდან ჩაღრმავებულია 4.17მ. სიღრმეზე.

ვიზუალური დათვალიერებით როგორც საბავშვო ბაღის შენობაში (01.10.12.038.021 იხ.სურ.1) ისე ორსართულიან საცხოვრებელ ნაგებობაში (01.10.12.038.009 - იხ.სურ.2) ბზარები, დეფორმაციები ან სხვა სახის თვალით შესამჩნევი დაზიანებები არ შეინიშნება.

პროქტის მიხედვით საპროექტო ნაგებობის საძირკვლად მიღებულია საძირკვლის ფილა სისქით 80სმ, რომელიც ჩაღრმავებულია აბსოლიტური ნულოვანი ნიშნულიდან 4.10მ. სიღრმეზე. შენობა ისეა დაპროექტებული, რომ საპროექტო შენობის საძირკვლის ფილა მოსაზღვრე სახლების ლენტური საძირკვლებიდან დაშორებულია 2.00მ. მანძილით და შესაბამისად საპროექტო ნაგებობის მშენებლობა არანაირ გავლენას არ მოახდენს და ზიანს არ მიაყენებს მომიჯნავე შენობა ნაგებობებს.

<u>დასკვნა:</u> ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ონიაშვილის ქ. №25 და №27-ში (01.10.12.038.031) ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოები არ მიაყენებს ზიანს და არ იქონიებს უარყოფით გავლენას მის მომიჯნავედ წარმოდგენილ არსებულ შენობა-ნაგებობებზე (01.10.12.038.021, 01.10.12.038.009).

წარმოდგენილი დასკვნა შესრულებულია არქიტექტურული-გეგმარებითი გადაწყვეტილების, გეოლოგიური კვლევის და პროექტის კონსტრუქციული ნაწილის გათვალისწინებით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შ.პ.ს. "ვაკო"-ს მიერ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, ახალი ნაგებობის პროექტირებისას დაცულია სამშენებლო ნორმებისა და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08), მუხლი 10, პუნქტი 5-ის მოთხოვნები.

კონსტრუქტორი: ლ.ზამბახიძე



სურ.1 მომიჯნავე საბავშვო ბაღის ერთსართულიანი შენობა სარდაფით (01.10.12.038.021)




სურ.2 მომიჯნავე საცხოვრებელი ორსართულიანი შენობა სარდაფით (01.10.12.038.009)



ტოპოგრაფიული გეგმა

მასშტაბი 1:500



ექსპლიკაცია

წყ	წყალგაყვანილობა	რეგისტრირებული ნაკვეთები	
გ	გაზი	განაშენიანების რეგულირების ხაზი	
კ	კანალიზაცია	ეზოში შესვლა	
ქ	კავშირგაბმულობა	ჭიშკის ღერძი	
ელ.	ელ. ქსელები	ავტოსადგომი	
სკ	სანიაღვრე		

UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდინატები	შენებადი ნაგებობა	ღობე	
ადგილობრივი სისტემის სამუშაო კოორდინატები	ფარდული	კედელი	
არასაცხოვრებელი შენობა	ტრანსფორმატორო ჯიხური	რკინიგზა	
საცხოვრებელი შენობა	რეზერვუარი	მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი	
	ბორდიური	ხეები	
		საქვაბულეები	
		რელიეფი	

Geo-Cadastral Problems Solutions LTD

დამკვეთი	ნ. ძვარაცხელია. ს. პატარაია		დირექტორი	თ. ზუმბაძე
ობიექტის დასახელება მისამართი	ქ. თბილისი. საბურთალო. ონიაშვილის ქ №25-27		შემასრულა	ლ.შავაძე
			კომპ. შეზრუნვ.	თ. არჩვაძე
აზომვა ჩატარდა: 16.02.2014			მასშტაბი 1:500	

ტოპო გადაღება